

რევაზ თვარიშვი

რაღიანის მცხოვრის

და

კალთურა

3

რეგაზ თვარაძე

რელიგიის ისტორია
და
პულტურა

ნაწილი პირველი
ქრისტიანული მოძღვრების შესავალი

მესამე კლასის სახელმძღვანელო


გამომცემლობა
„საქართველოს მაცნე“

თბილისი
2000

1. బ్రాహ్మణుల న్యాయికులు
2. స్వమానులు

దాచమత్కుచూ సాక్షారతవ్వెల్లంస
గానాతల్లేబిస సామినిస్త్రించ

రైదాజ్యక్తించి
గొం ముర్రణుణొ



ტითა გაბაშვი

წელს ახალი საგნის შესწავლას ვიწყებთ. ამ საგანს „რელიგიის ისტორია და ქულტურა“ პქრია.

სიტყვა „რელიგია“ რომ სარწმუნოებას ნიშნავს, ალბათ ყოველმა თქვენგანმა იცის. კულტურა რაღა არის? კულტურა არის ყველაფერი, რაც გამოხატავს ადამიანის ბუნებას, მის შიდასამყაროს, სულიერ რობას, მის დამოკიდებულებას გარესამყაროსთან: ხელოვნებაც, მწერლობაც, მეცნიერებაც, განათლებაც, ყოველდღიური ყოფაც, ტრადიციებიც, წეს-ჩვეულებებიც, ზნეობაც, ქცევაც, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ან თუგინდ ჩაცმა-დახურვისა და ჭამა-სმის ჯეროვანი წესიც.

საქართველო უძევლესი და უმდიდრესი კულტურის ქვეყანა არისო, — ვიტყვით ხოლმე და ვგულისხმობთ არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ ნივთებს, ხელოვნების ნიმუშებს, ჩვენს ყელყარყარა ტაძრებს, ციხე-ქალაქებს, ნატიფად შესრულებულ ხელნაწერებს, საგალობლებს, ხალხურ სიმღერებს, მხატვრობას, ჩატულობას, ადამიანთა დამოკიდებულების დახვეწილ წესებს, ჩვენს „ვეფხისტყაოსანსა“ თუ „დავითიანს“...

კულტურული კაცი არისო, — ვამბობთ ვინმეს შესახებ და ვგულისხმობთ განათლებულ, ზნეეპთილ, რიგანი ყოფა-ქცევის ადამიანს, რომელთან ურთიერთობაც ყველასათვის სასამოვნოა.

რელიგია და კულტურა რატომ დაგუეკვშირეთ ერთიმეორეს? იმიტომ, რომ ორივე — რელიგიაც და კულტურაც — ადამიანის ნამდვილი ბუნების, მისი სულიერი რაობის გამომხატველია, ერთიცა და მეორეც კაცობრიობის სულიერ ამაღლებას უწყობს ხელს.

საგანს „რელიგიის ისტორია და კულტურა“ მესამე-მეცხრე კლასებში შეისწავლება. მესამე-მეცხრე კლასებში გავეცნობით ქრისტიანული მოძღვრების შესავალს, მერვე-მეცხრე კლასებში — მითოსა და რელიგიების ისტორიას. გზადაგზა კულტურის ისტორიის მრავალ საკითხსაც შევეხებით.

სამყარო ღმერთმა შეძლება

ქართველ ხალხს აქვს ერთი ძეირფასი წიგნი, რომლის უმჯობესი ქართულად
არაფერი დაწერილა. ამ წიგნს „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვია და ასე იწყება:

რომელმან შექმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა.

ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა, რაც კი რამ
არსებობს, ღმერთმა გააჩინა, ყოველივე, რაც არის ჩვენს ირგვლივ, — ზეცა და
დედამიწა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, — ღმერთმა დაბადა. ღმერთს რომ არ
გაეჩინა, არაფერი იარსებდა — არც დღე და ღამე. არც გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა და ზამთარი, არც მცენარეები და ცხოველები, არც მთები და ველ-
მინდერები, მდინარეები და ზღვები, სოფლები და ქალაქები. ჩვენ თვითონაც არ
ვიარსებდით, არ იქნებოდა ცხოვრება, არ იქნებოდა ჩვენი სიხარული, ოცნება,
ნატერა, ფიქრი....

ეს სიტყვები კიდევ იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა მშვენიერი სამყარო შექმნა და
ჩვენ, ადამიანებს, გვიბობა მშვენიერი ქვეყნიერება, უთვალავი ფერით გაბრწყინებუ-
ლი.

აბა კარგად დავჭიქრდეთ, რამდენი სილამაზეა ჩვენს ირგვლივ: დღისით ელვა-
რე მზე დაგვნათის, დამთი ბადრი მთვარე და ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა
დაგვეურებს; ცა რომ ღრუბლებით დაიბურება და წვიმას წამოუშენს, ისიც სამო
საჭვრეტია, თოვლი რომ ბარდის, იმის ყურებასაც არაფერი სჯობს.

ახლა ისიც ვიფიქროთ, რამდენი საყვარელი ადამიანი გვხვდება ყოველდღე-
დღე-მამა, და-ძმანი, ბებია და პაპა, ნათესავები და ახლობლები, მეზობლები, მოკუთხი,
ამხანაგები, მეგობრები, მასწავლებლები, თუგრინდ უბრალო ნაცნობები ან უცნობებიც.

რამდენი სიხარული გველოდება ცისმარე დღეს: თამაში, გართობა, სეირნობა,
კითხვა, სწავლა, ხატვა, სიმღერა, შინაურებში სუფრას მიჯდომა, დამით დაწოლა და
ტკბილად დაძინება.

ყოველივე ამას ცხოვრება ჰქვია და ეს ცხოვრება ღმერთმა გვიბობა უძვირ-
ფასეს საჩუქრად.



ଶୁଦ୍ଧିକାରିଣୀ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମାତ୍ରା
ଶ୍ରୀକୃତ୍ତିମାନଙ୍କ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମାତ୍ରା

ଯାଜିମ, ଯାଧିଦିନର ଯାନାଟ?
 ରମ୍ଭରତର ମାରାଲାର ମିନାଟ,
 ଯିନ୍ଦା ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ,
 ରାମ ରାଧାର କ୍ଷେତ୍ରକାନ୍ତ,
 ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ,
 ମାତା-ମାତ୍ରଙ୍କାର ଏତମନ୍ତ୍ରିନାଟ,
 ଯାମ୍ବଳାର ନୀତିନାଗାନ୍ତ
 ମାମିଗାନ୍ତ ରାନାନିନାଟ.
ରାମିତ ପୁରାମିଶ୍ରିତ

სიტყვათა საღარო

ქრისტიანული მოძღვრების შესახებ საუბრისას შესაძლოა დროდადრო ისეთი სიტყვები შეგვხდეს, ყოველ თქვენგანს რომ არ ეცოდინება. სიტყვის მნიშვნელობა თუ არ ვიცით, ამ სიტყვით გამოხატულ აზრსაც ვერ გაეიგებთ. ამიტომ უმჯობესია ჩვენს გაკეთილებს ამთავითვე მივაყროთ ყურადღება, ყოველი სიტყვის მნიშვნელობას ჩავუკარიდღეთ და, უცნობი სიტყვები თუ შეგვხდა, ნაცნობად ვიციოთ.

ახლა გავიხსენოთ ჩვენი გაკეთილი — „სამყარო ღმერთმა შექმნა“. პირველივე სიტყვა ხომ არ გვეცხოვა? სამყარო ღმერთმა შექმნა. რა არის სამყარო?

ამ კითხვის პასუხს, თუკი ყურადღებით წავიკითხავთ, იმავე წინადაღებაში ვიპოვთ, რომელშიც ნახსენებია ეს სიტყვა: „სამყარო ღმერთმა შექმნა, რაც კი რამ არ ს ე ბობს, ღმერთმა გააჩინა, ყო კელივე, რაც არის ჩვენს ირგვლივ, — ზეცა და დედამიწა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები — დმერთ მა დაბადა“.

მაშასადამე, სამყარო ყოფილა ყოველივე, რაც არსებობს, რაც არის ჩვენს ირგვლივ — ზეცა და დედამიწა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

„რომელმან შექმნა სამყარო“, — ასე იწყებს „კუჭისტყაოსანს“ შოთა რუსთაველი. მართალია, რუსთაველის დროს სიტყვა „სამყარო“ ცოტათი სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, ვიღრე დღეს ვხმარობთ, მაგრამ ამის თაობაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, უფროს კლასებში რომ გადავალოთ.

კიდევ რომელი სიტყვაა ჩვენთვის უცნობი? თითქოს არც ერთი. მაგრამ, აი, ერთხელაც წავიკითხოთ წინადაღება: „ცა რომ ღრუბლებით დაიბურება და წევიძას წამოუშენს, ისიც საამო საჭვრეტია“. შესაძლოა, ყველამ არ იცოდეს, რა არის „საჭვრეტი“.

„ჭვრეტა“ ნიშნავს „ყურებას“, „ცქერას“, „ესე იგი, „საჭვრეტი“ იქნება „საყურებელი“, „საცქერი“. წევიძას რომ წამოუშენს, ისიც საამო საყურებელი არისო.

კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ზოგიერთი თქვენგანისთვის იქნება უცნობი გამოდგეს: „რამდენი სიხარული გველოდება ცისმარე დღეს“. ეს ლამაზი სიტყვა, „ცისმარე“, ცალკე არ იხმარება. თექმის „ცისმარე დღეს“, რაც ნიშნავს: „ყოველ-დღე“. ესე იგი, წინადაღება გვეუბნება: რამდენი სიხარული გველოდება ყოველ-დღეო.

დაბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ამ წიგნში უცნობი სიტყვები განმარტებულია იმ

მონაცემში, რომელსაც „სიტყვათა სალარო“ ჰქვია. სალარო არის განძულობისა და ფულის შესანახი ადგილი. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ენა და ამ ენას ხმარებული სიტყვები მართლაც განძია ჩვენი. ყოველ სიტყვას მართლაც განძივთ უნდა ვუფროთხილდებოდეთ და ვპატრონობდეთ.

ღმირთი – ყოვლადღისერი, ყოვლისმცოდნე, პეთილი

ღმერთი ყოვლადღისერი არისო, — ასე ვამბობთ ხოლმე, ყოვლადღისერი რომ არ ყოფილიყო, როგორ შექმნიდა ამ თვალგადაუწყვეტელსა და მშვენივრად მოწყობილ სამყაროს? წარმოვიდგინოთ, ერთი სახლის აგებას რამოდენა ძალა სჭირდება, ერთი ქალაქის გაშენებას რამოდენა ძალა სჭირდება! უზარმაზარი სამყაროს შესახებ რაღა გვეთქმის? ღმერთის ძალა მართლაც რომ განუზომელია.

მაგრამ მხოლოდ ძალის მეოხებით ვერც სახლი აიგება და ვერც ქალაქი გაშენდება. ერთსაც და მეორესაც აზრის დატანება ესაჭიროება, გონების ამოქმედება. სამყაროს ამბავიც ასეა: დიდზე დიდი, უდიდესი გონების მიერ არის შექმნილი, ბრძულად არის მოწესრიგებული. ღმერთის სიბრძნეც ისევე განუზომელია, როგორც მისი ძლიერება.

ღმერთი ყოვლისმცოდნე არისო, — ამასაც ვამბობთ ხოლმე. ყველაფერი იცის მან, რაც მის მიერ შექმნილ სამყაროში ხდება — ზეცის იდუმალ თაღებშიც და ზღვის უფსერულებშიც, მიწის პირზეც და მის წილშიც; ისიც ზედმიწევნით უწყის. ვინ როგორ იქცევა, ვინ რას ფიქრობს ან რას განიცდის, ვის რა ამოქმედებს, ვის რა ულხინს თუ უჭირს, ვინ პატიოსანი ადამიანია და ვინ — უღირსი. ღმერთის არაფერი დაემალება.

ღმერთი მყავს მოწმედ, არ გატესებო, — ეტყვის ერთი ქართველი კაცი მეორეს და მეტი საბუთი აღარ სჭირდება მის ნათევამს: თუ გულმართალი და გონიერი ადამიანია. ღმერთის ხსენებისას სიცრუის თქმას ვერ იკადრებს, რადგან იცის, რომ მისი ყოველი სიტყვა ესმის უფალს, მისი გულის ყოველი საიდუმლო გადაშელია უფლის წინაშე.

კაცმა თუ სინდისზე ხელი აიღო, შესაძლოა მრავალი ვინმე შეაცდინოს. ათასი ვინმე გააცუროს და ათასგვარი უკეთერი საქმე მოიმოქმედოს. მაგრამ უზენაესს არაფერი დაემალება და ავის მქმნელ ადამიანს უაჭველად დასჯის კიდეც. ოღონდ ღმერთის ნება სწორედ ის არის. რომ ადამიანი ცუდ საქმეს არ სჩადიოდეს, სიკეთის გზას მიპყვებოდეს მუდამ კარგ ადამიანს მამაშეციერი ყოველ საქმეში შეეწევა, რადგან თავად არის კეთლი, უსაზღვროდ კეთილი არ არსებობს ისეთი სახოვარი, ღმერთის რომ არ შეგვისრულოს, თუკი წრფელი გულით შევევედრებით. მაგრამ ერთი რამ მტკიცედ უნდა გეახსოვდეს: იმგვარი არაფერი შევთხოვთ.



უბისის ტაძრის ფრესკა. მეთოთხმეტე საუკუნე.

ვოთ ღმერთს, რაც მის მიერვე დაწესებულ მარადიულ კანონებს ეწინააღმდეგება.
ვთქვათ, ჩემმა ამხანაგმა რაღაც მაწყვინინა, ცხელ გელზე აღარ ჩავუკვირდი, რა უგუნურებას ჩავდიოდი და ღმერთს შევემუდარე — იმ ჩემს ამხანაგს რამე ცედი საქმე დამართე-მეთქი! ეს სათხოვარი, რაგინდ გულმხურვალედაც უნდა ვითხოვო, არ შემისრულდება, რადგანაც იმ ურუყვ კანონს ეწინააღმდეგება, რომელიც გვასწავლის: ღმერთი მხოლოდ სიკეთის მოქმედია, მისგან ავი საქმე არ მოხდება.

შზრუნველ მამასავით პატრიონობს ღმერთი ადამიანებს. ღმერთის სიკეთეც ისევე განუზომელია, როგორც მისი სიბრძნე და ძლიერება.

კინ დამბადა, შეძლებაცა მანე მოძია ძღვევად მტერთად,

კინ არს მხლი უბილავი შემწედ ეფელთა მიწიერთად,

კინ საზღვარსა დაუსაზღვრებეს, ზის კევდავი ღმერთი ღმერთად,

იგი განდის წამისეთფით ერთხა ასად, ასესა — ერთად.

შოთა რესთაველი

სიტყვათა სალარო

ყოველმა ჩეენგანმა შესაძლოა ყოველდღე საღმე ამოიკითხოს ან მოისმინოს მისოთვის უცნობი სიტყვა. ოღონდ უცნობ სიტყვათვან ზოგიერთი იმნარია, თუ კარგად ჩავუკვირდებით, სხვათა დაუხმარებლადაც მივხვდებით მის მნიშვნელობას. სიტყვა თვითონვე ამოგვაცნობინებს თავისთავს.

ერთი ამდაგვარი სიტყვაა „ყოვლადძლიერი“, რომელსაც აღნიათ პირველად გავეცანით ამ გაკვეთილზე. რას ნიშნავს „ყოვლადძლიერი“?

„ძლიერი“ კარგად ვიცით, რაც არის. ამას წინ უსწრებს სიტყვა „ყოვლად“. ესე იგი, „ყოვლადძლიერი“ რადა იქნება? – ყოველმხრივ ძლიერი, საკუთრივ ძლიერი, სრულიად ძლიერი.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: „ყოვლადძლიერი“ ჩვეულებრივ მხოლოდ ღმერთის შესახებ ითქმის. ყოვლადძლიერიო, რომ ვიტყვით, შეგვიძლია სიტყვა „ღმერთი“ აღარც ვახსენოთ, თავისთვალ იგულისხმება ღმერთი. ყოვლადძლიერი ღმერთია მხოლოდ.

ასევე ღმერთს აღნიშნავს ამ გაკვეთილზე ნახმარი კიდევ სამი სიტყვა: „უფალი“, „უზენაესი“ და „მამაზეციერი“.

სიტყვა „უფალი“ ძველად ბატონს, პატრონს, მბრძანებელს ნიშნავდა. ღმერთს „უფალი“ დაერქვა, რაღაც ის არის ჩეენი მბრძანებელიც და პატრონიც.

„უზენაესი“ ნიშნავს „უმაღლესს“. ღმერთი უზენაესია, რაღაც ყველასა და ყველაფურზე მაღლაა.

„მამაზეციერი“ ორი სიტყვისგან შედგება: „მამა“ და „ზეციერი“. ჩვეულებრივ მამისგან განსხვავებით, ღმერთი არის ზეციერი მამა, ზეცაში მყოფი მამა.

ზოგიერთმა თქვენგანმა იქნებ არ იცოდეს, რა არის „წალი“. ეს სიტყვა სიღრმეს ნიშნავს. ღმერთმა ისიც კი იცის, მიწის წიაღში რა ხდებაო, – ნათქვამია გაპვეთილში. ესე იგი, ღმერთმა ისიც კი იცის, მიწის სიღრმეში რა ხდებაო.

„უწყის“ ნიშნავს „იცის“. ეს სიტყვა ძველად უფრო გავრცელებული იყო, ვიღრე დღეს, თუმცა დღესდღეობითაც იხმარება. მართალია, უფრო იშვიათად. ზოგიერთმა თქვენგანმა ეგებ უკვე უწყის ეს ამბავი?

„უქოთური“ არის „ცუდი“, „ავი“, „ბოროტი“. შესაძლოა ვინმემ ათასგვარი უქოთური საქმე მოიმოქმედოსო. – ნათქვამია ზემოთ. ესე იგი: ათასგვარი ცუდი საქმე ჩაიდინოსო.

„შეეწევა“ რას ნიშნავს, ალბათ უმეტესობაშ იცის. მაინც შეგახსენებთ: „შეეწევა, ესე იგი დაეხმარება. კარგ ადამიანს მამაზეციერი ყოველ საქმეში შეეწევაო, — რომ ვთქვით, ასეც შეგვეძლო გვეთქვა: კარგ ადამიანს მამაზეციერი ყოველ საქმეში დაეხმარებაო.

„წრფელი გულით შევეღრებაც“ უნდა განვმარტოთ ალბათ. ეს არის გულ-წრფელად, გულმართლად შევეღრება.

ცოტა რამ რუსთაველის სტროფის შესახებაც ვთქვათ.

პირველი სტრიქონი: „ვინ დამბადა“ ნიშნავს „ვინც გამაჩინა“, „ვინც შეძექნა“. ამას ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი გმირი — ავთანდილი. ვინც გამაჩინა, მტრების დაძლევის, დამარცხების ძალაც მანვე მომცაო. ცხადია, ვინც იგულისხმება: როგორც ყველა სხვა ადამიანი, ავთანდილიც ღმერთმა გამაჩინა და მტრებთა დამარცხების შეძლებაც მისცა.

მეორე სტრიქონი: ღმერთი უხილავი ძალა არისო, — ამბობს ავთანდილი, — ყველა მიწიერის, ანუ ღვდამიწაზე მყოფის შემწე, მათი დამხმარე არისო.

მესამე სტრიქონი: აქ მხოლოდ იმას მიაქციეთ ყურადღება, რომ ღმერთი უკვდავია. მანამდე რაც არის ნათქვამი, — „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“, — თქვენთვის ჯერჯერობით ძნელი გასავები იქნება.

მეოთხე სტრიქონი: „წამისყოფა“ არის თვალის ერთი დახამხამება, ერთი წამი. მაშასადამე: ღმერთი, თუკი მოისურვა, თვალის ერთ დახამხამებაში, ერთ წამში ერთს ასად გადააქცევს და ასს — ერთად, რადგან ყოვლადძლიერი არისო.

იესო ქრისტე

ღმერთშა ადამიანები იმისთვის შექმნა, რომ თავიანთი გამჩენი ღმერთი ჰყარბოდათ, ერთმანეთი ჰყარბოდათ, ყველა ქმნილება ჰყარბოდათ, ერთმანეთს სანოდ მოქცეოდნენ, კეთილნი და წესიერნი ყოფილიყვნენ. მაგრამ ხანი რომ გამოხდა ადამიანებმა უფლის დარიგება თანდათანობით დაივიწყეს. გახშირდა საძრახის საქმის კეთება, სიხარბე, მომხვეჭელობა, სიცრუე, ორპირობა, შური, გაუტანლობა, ამპარტავნება, შულლი, მტრობა, გარყვნილება. უზენაესის მიერ დადგენილი წესი ნაცვლად ხალხი უმსგავს წესებს დაეწვია და მისი ცხოვრება უთავმოლოდ არ დაირიცა.

ამგვარ სახელო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები თვითონვე კედლაფერს შეველოდნენ. თავის თავს. ძნელბედობიდან მათი დახსნა მხოლოდ ისე ვინმეს შევძლო, ვინც მაღალი ღმერთიერი ბრძენი იქნებოდა, მასავით ძლიერი და კეთილი. ამიტომ ადამიანთა უსაზღვროდ მოყვარული ღმერთი თვითონვე მოევლანა ქვეყნიერებას კაცობრიობის საშველად და გამოსახსნელად.

ამ მიზნით ქვეყნად გამოცხადებული ღმერთი იყო იესო ქრისტე, რომელიც ორი ათასი წლის წინათ იშვა ქალწულ მარიამისგან, ღვთისმმობელ მარიამისგან

იესო ქრისტე სრულყოფილი კაცი იყო, ღმერთკაცი. სხვა ადამიანთავან იმით გამოიჩინებოდა, რომ თავის სიცოცხლეში არც ერთი ცუდი საქციელი არ ჩაუდენდა, არც ერთი ცუდი აზრი თავში არ გაუვლია და არც ერთი ცუდი გრძნობა გულში არ გაუტარებია. რადგან კაციც იყო და, ამავე დროს, ღმერთიც იყო — ყოვლად ბრძენი, ყოვლადძლიერი და ყოვლად კეთილი.

დიდებული მოძღვრება დაგვიტოვა იესო ქრისტემ. ღმერთი უნდა გიყვარდეთ, — გვასწავლა მან, — ერთმანეთი უნდა გიყვარდეთო, სხვა ადამიანი საკუთარ თავსავით უნდა გიყვარდეთ, მტერიც კი უნდა შეიყვაროთო; ღვთისმოშიშნი უნდა იყოთო, სულიერად სპეტაკნი, შმვიდნი, თავმდაბალნი, გულმართალნი, გულკეთილნი, მოწყალენი, უშურველნი, მიმტევებულნი, შემნდობნი, სამართლიანნი, გაჭირვებულთა შემწენი, საკუთარი გასაჭირის უდრიტვინველად მომთმენნი, მხოლოდ კარგი საქმის მოქმედნი, ცუდი არაფერი უნდა იფიქროთ და უკეთური არაფერი ისურვოთ; ვინც ასე ცხოვრობს, ამ ქვეყნადაც ბედნიერი იქნება და საიქიოშიცო.

რით არის დიდებული ეს მოძღვრება? იმით, რომ თუკი ფელად ამ მოძღვრებას მივსდიეთ, ქვეყნიერებაზე სიყვარული, სიკეთე და სამართლიანობა დამკვიდრდება,



იესო ქრისტეს ჰედური ხატი მეათე საუკუნისა.

ცუდ საქმეს აღარავინ ჩაიდენს და აღარც შური იბოგინებს სადმე, აღარც მტრობა ვთქვათ, ჩემმა ამხანაგმა რაღაც მაწყენინა. ამის საპასუხოდ მეც თუ ცუდად მოვექცევი, ის კიდევ უარესად მომექცევა, მერე მე სულ უარესს დავმართებ და ვინ იცის, როდემდე გაგრძელდება ჩენი უთანხმოება! მაგრამ თუკი იმას შევძლებ, პირველივე წყენა მოვითმინო, ჩემს ამხანაგს ცუდი არაფერი ვაკადრო, ჩემს შორის უსიამოენება აღარ მოხდება და ძველებურად გვეყვარება ერთიმეორე. რომელი სჯობს – გაუთავებელი კინკლაობა, თუ თანხმობა და სიყვარული?

იქსო ქრისტეს მოძღვრება, რომელიც ქადაგებდა სიკეთეს, სიყვარულს, თავმდაბლობას, დიდად ეუცხოვა მის დროს მცხოვრებ ზოგიერთ უკეთურ ადამიანს, რადგან სიყვარულისა და სიკეთის ნაცვლად მათ გულში ამპარტავნება, შური და მტრობა ბატონობდა. ამნაირმა ადამიანებმა იქსო ქრისტეს ცილი დასწამეს, შეიპყრეს, ტანჯეს და ჯვარს აცვეს. ასე ჯვარცმული მოქვედა ქვეჭნიერებაზე ოდესმე მცხოვრებთაგან ყველაზე წმინდა, ყველაზე კეთილი და ყველაზე ბრძნი კაცი. ის დღე პარასკევი იყო. სიკედილიდან მესამე დღეს, კვირას, ქრისტე აღდგა, მეორმოცე დღეს კი წეცაში ამაღლდა.

გაი, რა ქარგი საჩინო
 რა აფად მიგიჩნიებო,
 ბოროტისაგან ქეთილი
 შურით ვერ განარჩიებო,
 მაცხოვნებელი შენ მათი
 წამწემენდღად მიგიჩნიებო,
 დიღება მოთმინებასა
 შენსა, უფალო იქნო!
 დავით გურამიშვილი

სიტყვათა საღარე

თქვენთვის ჯერჯერობით უცნობი სიტყვები ამ თავშიც გვხვდება. რაკი ცოტათი ჟენე შევერჩიეთ ამგვარი სიტყვების მნიშვნელობის გარკვევას „სიტყვათა სალაროს“ დახმარებით, ახლა შეგვიძლია ყოველ უცნობ სიტყვაზე ცალ-ცალკე კი აღარ ვისაუბროთ, პირდაპირ თანმიმდევრობით ჩამოვწეროთ ეს სიტყვები და იქვე მათი განმარტებაც დაუკროთ.

კერ დაუკვირდეთ გაქვთილის ტექსტს და მოვინიშნოთ, რომელი სიტყვები არ ვიცით. ასეთებია, ვთქათ, „სათხოდ“, „ხანი გამოხდა“, „საძრახისი“, „მომხვეჭლობა“, „ამპარტავნება“, „გარყვნილება“, „უმსგავსი“ და კიდევ რამდენიმე.

„ამგვარი სიტყვა რომ შეეგვევდება, ჩავხელოთ გაკეთილისთვის დართულ „სიტყვათა სალაროს“ და იქ ვიპოვთ მის განმარტებას. მაგალითად:

„სათნოდ“ ნიშნავს „ჭუთილად“.

„ნანი გამოხდა“ ნიშნავს „დრო გავიდა“.

„საძრახისი“ ნიშნავს „დასაჯობი“, „კულტი“.

ხომ არ გაგვიძნელდა სიტყვათა მნიშვნელობის ამნაირად გაგება? თუ არ გაგვიძნელდა, მაშინ ასე მიყვეოთ სხვა სიტყვებსაც:

მომხდება - უკუნის, ქონების ზარბად დაგროვება.

— ამპარტავება — მეცილურობა, ზედმეტი სიამაყუ

ବୀରପାତ୍ରଙ୍କା = ନିର୍ମିତ ଅନୁଷ୍ଠାନିକ

Հայություն = օպերա կամաց շաբաթ

အမြတ်စွဲ = အမြတ်, အမြတ်ဆုံး.

ପାଇଁରୁବ୍ରାନ୍ତିକ ପାଇଁରୁବ୍ରାନ୍ତିକ

ନାମିରେତିବ୍ୟାଜି - ଲମ୍ବରତୀର ଦଶଭ୍ୟଳି.

ନେମକିପାତାଳୀ - ରମ୍ଭେରତିଳିପୁ ରା ପାତାଳିପୁ ଗୋଟିଲାଦି.

କ୍ଷେତ୍ରକାଳ - ପ୍ରମିନ୍ଦା.

ურარესობი – ისეთი ადამიანი, ვისაც სხვისთვის არაფერი შეკრის, არაფერი ემანება.

მიმტვებელი – ის, კინც სხვას აპატიებს, მიუტევებს რაიმეს.

შემოქმედი – თითქმის იგივეა, რაც „მიმტკიცებული“.

“ ፳፻፭፻ – ዲዕምዎች.

ଶ୍ରୀରତ୍ନାପଣେଷ୍ଟାଙ୍କ – ମେହିଲାର, ବିଜୁଳୀ, ପ୍ରାଚୀନ୍ତ୍ୟର, ଓ ଗୁରୁତ୍ୱର

ପ୍ରାଚୀତିକାଣ୍ଡି = ଅନ୍ତରେ ଆଜି ଦେଖିଲାମି

საიდო — სიკლოიდის შემთხვევაში კონკავური.

იპოზიცია – აქ: იქნება, იარსებებს.
ოდასამ – ოფიციშები.

დავით გურამიშვილის აქ დაბეჭდილ სტროფშიც შეგვხედება რამდენიმე უ-
ნობი სიტყვა:

საჩინო – გამოსაჩენი.

ააცხოვებელი — მაცოცხლებელი.

ପାଇଁରେଣ୍ଡାରୀ – ହାତିକୁଳିକୁଳି.

ძრისტიანები

ქრისტეს პყავდა თორმეტი მოწაფე. მათ მოციქულებს უწოდებდნენ. თავის მოძღვრებას მაცხოვარი მოწაფეებსაც გადასცემდა და მის მოსასმენად თავშეყრილ ხალხსაც უქადაგებდა. ქრისტეს შემდეგ მისი მოძღვრების ქადაგებას მოციქულები შეუდგნენ. მათ ირგვლივ თანდათანობით იქრიბებოდნენ ის ადამიანები, ვინც ირწმუნა იესო ქრისტეს სიტყვები და მის მიერ ნასწალი მცნებების თანახმად ცხოვრობდა. ასეთ ადამიანებს, ქრისტეს მოძღვრების მიმდევრებს, ქრისტიანები უწოდეს. მათი რიცხვი სულ უფრო მატულობდა. ბოლოს ქრისტიანობა მრავალ ქვეყნაში გაერცელდა, უამრავი მიმღევარი გაუჩინდა. დღესდღეობით დკადამიწის ზურგზე მიღიონობით და მიღიონობით ქრისტიანი სახლობს. მათ შორის ქართველებიც ვართ.

ეს კაცი ჭეშმარიტი ქრისტიანი არისო, — ვიტყვით ხოლმე ზოგჯერ. ზოგჯერ იმიტომ, რომ ჭეშმარიტი, ანუ ნამდვილი ქრისტიანი არც ისე ხშირად გვხვდება. ქრისტეს რჯულს თითქოს ყველანი ვაღიარებთ, მაგრამ ნაიადაგ ქრისტეს მცნებების თანახმად ცხოვრება გვიძნელდება. ჭეშმარიტი ქრისტიანი რომ იყო, სხვა ადამიანები საკუთარ თავსავით უნდა გიყვარდეს, მთელი შენი ცხოვრება სიყვარულით უნდა იყოს შექფენილი და უყოფმანოდ უნდა შეგეძლოს მოყვასისთვის თავის განწირვა. კიდევ მრავალი გამორჩეული თვისება უნდა პქონდეს ნამდვილ ქრისტიანს. ამ თვისებათა შესაძნად ყველას გვმართებს ზრუნვა.

ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ გარდასული დროის დიდი ქართველები — გრიგოლ ხანძთელი, ექვთიმე მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ქუთავის წამებული, თევდორე ხუცესი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ილია ჭავჭავაძე, კიდევ სხვანი და სხვანი. ყველას სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მათი საქმებიც უკვალოდ გამქრალიყოს მათს სახელთან ერთად. ყოველი კარგი საქმე შთამომავლობას გადაეცემა მისაბამ მაგალითად და სულიერად ამაღლებას უადგილებს მას. ასე გვამაღლებს სულიერად, ვთქვათ, ჯვარის მონასტერი, მცხეთასთან აღმართული უმშენერების ტაძარი. ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო მისი შენებელი, მაგრამ მისი საქმე მის მიერ შექმნილი უკვდავი ძეგლით გადმოგვეცემა.

ქრისტიანების გარდა ქვეყნიერებაზე სხვა რელიგიების, ანუ სხვა სარწმუნოებათა მიმდევრებიც მკვიდრობენ: მაპმადიანები, იუდეველები, ბუდისტები თუ სხვანი



ღვთისმშობლის ხატი მეათე საუკუნისა.

კიდევ ჩევნ ჩევნი სარწმუნოება — ქრისტიანობა მიგვაჩინდა უმჯობესად, მათ თავზონთანთვის. სარწმუნოების სხვაობა სულაც არ ნიშნავს ერთმანეთის მტრიბას. ყველა რელიგიის მიმდევარის პატივი უნდა ვცეო, ყველა ადამიანი უნდა გვიყვარდეს, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ სარწმუნოებას აღიარებს.

არიან კიდევ იმგვარი ადამიანები, რომლებიც არც ერთ რელიგიას არ მისდევენ, საერთოდ არ სწამთ ღმერთი. ამნაირ ადამიანებს ურწმუნოებს (ურჯულოებს), ანუ ათეიისტებს უწოდებენ. ღიდად შესაბრალისნი არიან ისინი. შე ურჯულოო, — ვინმეს რომ ეტყვის ქართველი კაცი, ამაზე მეტად დამაკნინებელი სიტყვა აღარ არსებობს.

ხოლო გვწამს ღმერთი უქმთა წარმწევები,
ტკირთმძმეთა და მაძღნალთა მსხნელი,
ღმერთი ტანკულთა, ღმერთი ჩაგრულთა.
ღმერთი უძღურთა ძემწენარებელი.

ილია ჭავჭავაძე

სიტყვათა სალარო

ააცხოვარი – ცხოვრების მომნიჭებელი, მაცოცხლებელი, ქრისტი-

უძაღაგებადა – ჭკუს სასწავლ რამეს ეუბნებოდა.

ავებაა – დარიგება, სწავლება.

რკული – მოძღვრება, სარწმუნოება.

ააღიარებათ – მართებულად მივიჩნევთ, მივსდევთ.

იიადაგ – მუდამ.

აოშვასი – მახლობელი.

აპიღრობაზ – ცხოვრიბენ.

დაგაპირენებალი – დამამცირებელი.

ილია ჭავჭავაძის სტროფის უცნობი სიტყვები:

თარმოჯონელი – დამღუპელი.

ააშვრალი – მძიმე შრომით დაღლილი.

შემოვლებელი – შემწყალებელი.

მიმდინარეობის მოძღვანელი

წმინდა ნინოს ქართველთა განმანათლებელს უწოდებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ნათელი მოგვფინა. ეს ნათელი ქრისტეს მოძღვრება იყო.

მანამდე დიდი ხნით ადრე ქრისტეს მოწაფემ ანდრია მოციქულმა იქადაგა ახალი სარწმუნოება დასავლეთ საქართველოში. მაგრამ მაშინ ქრისტიანებს სდევნიდნენ, ქრისტეს მოძღვრების აღიარებას უკრძალავდნენ. ანდრია მოციქულის მიერ გაქრისტიანებული ხალხის შთამომავლებმა თანდათანობით დაივიწყეს ჭეშმარიტი მოძღვრება, ისევ ძველ, წარმართულ სარწმუნოებას დაუბრუნდნენ.

ასე რომ, მეოთხე საუკუნის დამდეგს საქართველოში ქრისტიანობა ჯერ არ იყო გავრცელებული, თუმცა ცალკეული მორწმუნე ქრისტიანები უკვე იყვნენ. ამიტომ ნინოს, საქართველოდან შორს, იერუსალიმში მცხოვრებ, წარმოშობით კაპადოკიელ ასულს, უფალმა უბრძანა: ქართველებს ქრისტიანობა უნდა უქადაგო და მოაქციონო.

უფლის ბრძანებას დამორჩილებული ნინო საქართველოსკენ გამოემართა. გზად მრავალი გასაჭირი შეემთხვა. ბოლოს მაინც შევიდობით ჩამოაღწია მცხოვანის, რომელიც მაშინ საქართველოს სატახტო ქალაქი იყო. მეუღედ იჯდა მირიანი. მის მეუღლეს, დედოფალს, ნანა ერქვა. მირიანს ქრისტიანები უვავრებოდნენ, ისიც და დანარჩენი ქართველებიც დმტრთად სახავდნენ უსულო კერპებს, არმაზის მთაზე რომ იყვნენ წამომართულნი. ამგვარ ადამიანებს კერპთაყვანისმცემლებს უწოდებენ.

ნინომ სამეფო წალკოტში დაიდვა ბინა და ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას შეუდგა. ამასთან ერთად, ავადმყოფებს კურნავდა, ჭირში მყოფთ ეხმარებოდა, სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევდა.

დედოფალ ნანას მძიმე სენი აწუხებდა. უფლის შემწეობით ნინომ დედოფალი სასწაულებრივად განკურნა. მისი სახელი შორს გაითქვა. სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ეტანებოდა ახალ, ტყბილ მოძღვრებას. ბოლოს ნანა დედოფალი და მირიან მეუღეც მოიქცნენ და საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. იმ დროიდან, მეოთხე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ქართველება ქრისტიანები ვართ.

ჩვენში ხშირად გაიგონებთ გამოთქმას „ნინოს ჯვარი“, „ჯვარი ვაზისა“. ეს ჯვარი ვაზის რტობისგან შექმნა ნინომ და თავისი თმის მონაკვეცით შექრა. ამ ჯვარს სასწაულებრივი ძალა აქვს, დღესაც ასვენია სიონის ტაძარში და ქართველთა



სალოცავა.

ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რაც ნინომ გასწია წარმართობის სიბრძლისგან ქართველი ერის დასახსნელად, ქრისტეს მოძღვრების ნათელთან მის საზიარებლად. ამიტომ იყო, რომ ქართულმა ეკლესიამ ნინო წმინდანად შერაცხა და უწოდა „მოციქულთა სწორი“. რაც მას ნიშნავს, რომ წმინდა ნინო ქრისტეს მოწაფეებს გაუთანაბრა. ამიტომევა, რომ ნინობა, თოთხმეტი იანვარი, დღემდე დიდი ზემოთ აღინიშნება, ხოლო ნინო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ულამაზესი სახელია ჩვენში.

მოქიოდა, ქარი ღრუბლებს მოქიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა მრწოდა ქარი,
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჭინდა ხანატრედი გაზის ჯვარი.
ანა კალანდაძე



წმინდა ნინო. მეჩეთმეტე საუკუნის ხატი.

სიტყვათა საღარო

ჭარბართული სარჯეონება – ერთი ღმერთის ნაცვლად მრავალი ღმერთის თაყვანისცემა.

დამდეგის – დასაწყისში.

მოადიოი – ქრისტიანული სარწმუნოება მიაღებინო.

სატახტო მაღამი – ღვედაქალაქი.

სახავლებე – მიიჩნევდნენ.

კმრაი – წარმართული ღვთაების ქანდაკება.

ფალგორი – ბაღი.

გინა დაიღვა – დაბინავდა, დასახლდა.

სენი – ავადმყოფობა.

სასრაულებრივად – საკვირველად, ღმერთის დახმარებით.

დვატლი – ამაგი, შრომა.

დასახსელად – გადასარჩენად.

საზიარებლად – დასაკავშირებლად.

ზონდანი – განსაკუთრებულად გამორჩეული და საყოველთაოდ აღიარებული ქრისტიანი მოღვაწე.

ჯვარი. პირჯვარის გამოსახვა

„ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,

ნიშანი დიდი ქრისტიანობის“, – ბრძანებს აკაკი წერეთელი ერთ ნაწარმოებში.

წმინდა ნინოს ხატი ან ფრესკა თუ გვინახავს საღმე, ვთქვათ, ეკლესიაში, ოჯახში, გავახსენდება, რომ ხელთ მართლაც ჯვარი უპყრია.

რატომ გაიკეთა წმინდა ნინომ თავისთვის ჯვარი?

საერთოდ, რატომ არის ჯვარი აღმართული ჭამრის გუმბათზე, მღვდელ-საც რატომ უჭირავს ხშირად ჯვარი, მრავალ ქრისტიანს გულზე ჯვარი რატომ ჰყიდია?

ჯვარი არის „ნიშანი დიდი ქრისტიანობის“.

ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რომ იესო ქრისტე ჯვარს ეცვა, ჩვენი სიყვარულისთვის ჯვარზე გაკრულმა ტანჯვით დალია სული ჯვარის დანახვისას ჩვენ გვახსენდება ის ტანჯვა-წამება, რაც ჩვენი გულისთვის მოითმინა ქრისტე, გვახსენდება თავად ქრისტე, ჩვენი მხსნელი და მაცხოვარი. ამიტომ იქცა ჯვარი ქრისტიანობის უჭირველეს ნიშნად.

ჯვარს რომ პატივს მივაგებთ, ჯვარს რომ თაყვანს უცემთ, ამით ჩვენს უფალს – ქრისტეს მივაგებთ პატივს და ვცემთ თაყვანს.


შენ ჯვარი გწერია და ესა და ეს კაცი გარდაიცვალაო, – ითქმის ხოლმე. ეს იგი – შენ ღმერთმა გაშოროს სიკვდილი, ჯვარის, ანუ ქრისტე ღმერთის ძალა დაგიფაროსო.

ჯვარი აქაურობასო, – ასეც ვიტყვით ზოგჯერ. ამის თქმის დროსაც ჯვარს ანუ ქრისტე ღმერთის მოვეხმობთ შემწედ.

„ჯვარი მწყალობს, ჯვარიცული, ერას მავნეს მაცდური“, – ამ გალექსილი სიტყვების თქმა უყვარდათ ჩვენს წინაპრებს.

ქალის და კაცის დაქორწინებას ჯვარისწერა ჰქეია. ახალშეუდლებულ წყილს მღვდელმა უნდა დასწეროს ჯვარი, ამის შემდეგ ითვლებიან ისინი ცოლ-ქმრად. ჯვარი დავიწერო, – რომ იტყვის ქართველი კაცი, ეს იმას ნიშნავს – ცოლი შევირთეთ. ქორწინება ჯვარს იმიტომ უკავშირდება, რომ ყოველი ახალი ოჯახის შექმნა ღმერთის მიერ არის ნაკურთხი, მისგან დალოცვილია.

ახლა უკვე ძნელი მისახედრი აღარ უნდა იყოს, რას ნიშნავს პირჯვარის გამოსახვა ანუ პირჯვარის გადაწერა: პირჯვარის გამოსახვით უსიტყვოდ ვეხმი-



იშხანის საწინამდღვრო ჯვარი მეათე საუკუნისა.

ანებით და მოვუწოდებთ ჩვენს ჯვარცმულ ღმერთს – ქრისტეს.

პირჯვარს შეტწილად ლოცვის ღროს გადავიწერთ ხოლმე, თუმცა სხვა ღროსაც ვიცით მისი მომარჯვება. ღმერთო, მიშველეო! – ვიტყვით და პირჯვარს გადავიწერთ, როდესაც გასაჭირში ვართ. რაიმე საშიში, თავზარდამცემი ან დიდად განსაკუთრებული ამბის შეტყობისასაც გვჩვევია პირჯვარის გამოსახვა: ღმერთო ჩემო! – წამოვიძახებთ და გადავიწერთ პირჯვარს.

სასულიერო პირი ჯვარს რომ გადასწერს რაიმე ადგილს ან რაიმე საგანს, ის ადგილი ან საგანი განწმენდილია.

ეკლესიასთან, ხატთან, წმინდა ადგილთან მიახლოებისას ქრისტიანებს პირ-ჯვარის გამოსახვა გვმართებს.

„და შეძენენა შეძღვომად მირიან (შეფერ) ეოუედინი ეერჯი ხაბრძანებელსა თვისხა და ძათ წილ აღმართნა ცხოველმუფედინი ჯვარი ქრისტეს შეუფისა დასამხობელად მტერთა“.

ვახუშტი ბაგრატიონი

ସିତଯତାଟା ସାଲାହା

ମାଧ୍ୟମ - ଶ୍ରୀରା.

ଶୁଣି ଧାରିବା - ମୋକ୍ଷଦା.

ଆତିଥୀର ମହାବେଶ - ପାତ୍ରିବୁ ପ୍ରେମତ.

ହାତେଶରାଜ - ଶମାକୁ.

କାହାରିଟାମ - ଧାରାପ୍ରେଣିଲା.

ଅନେବିବେଶ - ପ୍ରେଲାପାରାକ୍ରେଡିଟ.

ଅନେବିବେଶ - ପ୍ରେକ୍ଷଣିତ, ପ୍ରେକ୍ଷଣିତ.

ପାଖ୍ୟଶ୍ରୀର ବାଗରାତ୍ରିବିନିଃ ଶ୍ରୀଶ୍ରୀଶ୍ରୀଶ୍ରୀ ଗାନ୍ଧାରିତ୍ରାଵି ନିର୍ମିଷ୍ଟବି:

ଅନେବିବେଶ - ଶ୍ରୀପ୍ରକଳିତ ମୋହନିଷ୍ଠେଲା, ମୁପ୍ରପ୍ରକଳିତେଲା.

ଅନେବିବେଶ - ପ୍ରେକ୍ଷଣିତ, ପ୍ରେକ୍ଷଣିତ.

ლოცვა

მორწმუნე ადამიანები ყოველდღე ლოცულობენ – დილით, შუადღისას, საღა-
მოთი, რაიმე საქმის დაწყებისას ან დამთავრებისას. ტამარში თავმეტრილი ხალხი
ერთად აღავლენს ლოცვას.

ნათელად: კაცი თუ არ ლოცულობს, მას ღმერთი არ უყვარს, დავიწყებული
ჰყავს. ეს იმიტომ არის ნათელად, რომ ღმერთი მამა ჩვენი, ჩვენ მისი შეიღები
ვართ. შეძლება განა მშობელი მამა არ გიყვარდეს, არ განსოვდეს, არ შეეხმარო,
არ ესაუბრო? ღმერთთან შეხმარება, შესიტყვება, მისდამი მიმართვა არის სწორედ
ლოცვა.

როდის მიემართავთ, როდის შეეხმარებით ხოლმე ღმერთს?

მრავალ ჩვენგანს ღმერთი მაშინ ახსნედება, როცა რაიმე გასაჭირი ადგას ან
რაიმე უბედურება დაატყედება თავს. მაშინ შევლალადებთ უფალს და დახმარებას
ვითხოვთ მისგან. ამიტომ პქეთა ამგვარ მოქმედებას ლოცვა-კედრება.

ღვთისმოსავი ადამიანები უამისოდაც ლოცულობენ. ღვთისმოსავი ადამიანი,
რომც არაფერი გასაჭირი ადგეს, მაიც წარმოთქვამს ღვთის საქებ-სადიდებელ
ლოცვას. ამით თავის მაღლიერებას გამოხატავს იმის გამო, რომ ღმერთმა ვკიბობა
სიცოცხლეც, ჯანმრთელობაც, საჭმელ-სასმელიც და ყოველივე დანარჩენიც, რაც
რამ გვაბადია.

გარდა ამისა, ცუდ საქციელს რომ ჩავიდენთ და მერე ვნანობთ ჩვენს უგვან
ქცევას, მაშინაც გვმართებს ლოცვა – სინანულის ლოცვა.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს კარგად: რაიმე საქმის კეთებისას ძალიან უნდა
შეეცადოთ მხოლოდ იმ საქმეზე ვიფიქროთ, სხვა არაფერზე. ვთქვათ, გაკვეთილს
თუ ვამზადებ და თან ბურთის თამაშზე ვიფიქრობ, ვერც გაკვეთილს ვისწავლი
რიგინანად და ბურთის თამაშზე ფიქრიც ჩამმწარდება. მით უფრო ითქმის ეს
ლოცვის შესახებ: ლოცვის დროს ფურადღება არ უნდა გვეცანტებოდეს, მხოლოდ
ღმერთზე უნდა ვფიქროდეთ. ამას თუ ვერ შევძლებთ, უმჯობესია სულაც არ
ვიღოცოთ.

კიდევ რა უნდა გვახსოვდეს? კიდევ ის, რომ, როგორც აღრცეც ითქვა, უფალს
იმგვარი არაფერი უნდა ვთხოვოთ, რაც მის მიერვე დადგენილ წესებსა და კანო-
ნებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, მე რომ იმისთვის ვიღოცო – ღმერთო, ეზოში
თამაშისას ახალთახალი შარვალი რომ გადამეფხრიშა, სანამ დედაჩემი შეიტყობ-

დეს, გაამთეულე და ისევ ახალ შარვლად აქციე-მეოქი, ეს უაზრო, ფუჭი ლოცუ
იქნება: ამნაირი რამ ბუნების კანონს ეწინააღმდეგება (გადაუხრეწილი შარვალ
ველარ გამთეულდება), ბუნების კანონები კი იგივე ღვთაებრივი კანონებია, ღმერთის
მიერ არის დაწესებული.

წრფელი გულით, აზრის მოკრებით ნათქვამ ლოცვას დიდი ძალა აქვს. ას
ილოცა წმინდა ნინომ არმაზის მთაზე და მისი ლოცვის შემდეგ შეიმუსრა ქ
მდგარი უზარმაზარი ქერპი, რომელსაც გაქრისტიანებამდე თაყვანს სცემდნე
ქართველნი. მრავალი სნეულიც ასევე გულმხრევალე ლოცვის მეოხებით განქურ
ნა წმინდა ნინომ.

დაძინებისას მუხლებმოურილი
ღედასთან ერთად ვამბობდი წინათ:
— უფალო, მოძეც მშვიდობის ძილი
და კამითენე მშვიდობის დიდა!

კოლაუ ნადირაძე

სიტყვათა საღარო

აღავლენს — ზევით, ღმერთისკენ მიმართავს.
უახმიანი — დაელაპარაკო.
უსიტყვება — დალაპარაკება.
უვდალადები — ხმამაღლა მიემართავთ.
ლათისმოსავი — ღმერთის მოიმედე და მოყვარული.
გვაძია — გვაქვს.
უგვანი — შეუფერებელი, ცუდი.
უუძი — ტყუილუბრალო.
უიმუსრა — განადგურდა, მოისპო.
უოხებით — დახმარებით.

საკითხები

სანდროს ლოცვა

პატარა სანდრო მამით ობოლი იყო, დედაც ძლიერ ავად გაუხდა. მწარეს დაღონდა სანდრო. მივიდა ზატთან, დაიჩოქა და იწყო ლოცვა:

— ლვოისმშობელო მარიამ, გევედრები მომირჩინე საყვარელი დედა და მის მაგივრად თუნდ მე გამხადე ავადაო!

უსმინა ლვოისმშობელმა სანდროს და მოურჩინა დედა.

ილოცვა, ბავშვო!

ილოცვა, ბავშვო, მაღლით ყურს გიგდებს
ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი,
წვეთ-წვეთად ითვლის შენს წმინდა ცრემლებს,
არ დაგეეარგვის მასთან არც ერთი.
თან შეეზარდე მაგ ლვოის ვედრებას,
რომ დიდხანს გაგჟვეს უმანკოება
და სიბერეშიც ისევ ვარდისფრად
გეხატებოდეს ქვეყნიერება.

ვეღრება ვეილებზე

ბუდეზე მსხდომი ჩიტები
ბარტყების ცქერით ტკბებიან,
მათს სიცოცხლეს და გაზრდასა
უფალსა ევედრებიან:
— ღმერთო, გვიცოცხლე სამივე,
მტრისაგან დაგვიფარეო,
არ დაგვრჩეს ობლად ეს ბუდე
და ჩვენი ტურფა მხარეო,
ჩახუტებულებს ზედ სხივი
ცორი მოაფინეო
და სიყვარული, გამჩენო,
მარადის შეარჩინეო!

უმთავრესი საოცნება



წმიდა იოანე ღვთისმეტყველი როცა ღრმად მოხუცდა, სიბერისა და დიდი ჯაფის გამო ძლიერ დაუძლურდა, იძენი ღონე აღარ მოსდევდა, რომ მოწმუნეთა კრებაზე ევლო. ამიტომ მოწაფებს ღვთისმეტყველი ხელით მიჰყავდათ ხოლმე კრებაზე საქადაგებლად. თავისი ქადაგება ღვთისმეტყველს არ შეუწყვეტა, ვიდრე ცოტაოდენი ღონე კიდევ ჰქონდა შერჩენილი. ბოლოს იმდენად დაუძლურდა, რომ გაბმით საუბარი აღარ შეეძლო. მაშინ იგი ყოველ კრებაზე იძერებდა მხოლოდ ამ ცუნებას მაცხოვრისას:

- შეილნო ჩემნო, გიყვარდეთ ერთმანეთი!
- მოწაფებს უკვირდათ, რომ მათი მოძღვარი ყოველთვის ერთსა და იმავე სიტყვას ამბობდა, და ერთხელ ჰქითხეს:
 - მოძღვარო, რად გვიმეორებ ყოველთვის მხოლოდ მაგ სიტყვებსო?
 - ღვთისმეტყველმა უპასუხა:
 - ამ ცუნებაში გამოიხატება შემოქლებით მთელი სწავლა წმიდა სახარებისათ.

გულგათიღობა

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩეენ წავალთ და სხვა დარჩება,
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ,
იმის მეტი რა შეგვრჩება.

დათის ქანიშების მაილავი მთიელი

იყო ერთი მთიელი. მთელი თავისი სიცოცხლე მაღლა მთებში გაეტარებინა და ბალი არც ერთხელ არ ენახა. მოხუცობის ღროს ჩამოვიდა მთიდან ბარად, ნახა სოფლად ბალი, შევიდა შიგ, ყოველი ხეხილი და მწვანილი დაათვალიერა, მეტად მოეწონა, ღმერთს მაღლობა შესწირა და თქვა:

- ღმერთო, ყველაფერი კარგად გაგირიგებია, მხოლოდ ერთი რამ ცუდად გინებებია: პატარა ბალაზისთვის ნესეი მოგიბამს და ვეებერთელა ზისთვის – პატარა კაქალიო.

ମିଳିବାରା, ମିଳିବାରା ଏବଂ କାହଲିଲି ମିଳିବି ଲାଗେଦିନା. ମନ୍ତ୍ରିରିନ୍ଦା ଫୁଲାବୀ, ଶେମାଜୁଲା କ୍ଷେତ୍ର
ଏବଂ କାହାଲି ମିଳିଲି ନିମ୍ନାଗନ୍ଧାର. କାହଲି ମିଳିବାରେ ଶୁଦ୍ଧିଶ୍ଵେ ଲାଗେପା, ଗାୟରୀକୁ ଏବଂ
ଫାନ୍ଦିଲିଲିଲାନା. ଗାମନ୍ଦେଲୁଗିଲା ମିଳିଲିଲା, ଚାମନ୍ଦତ୍ରା ଶେଖେ ଏବଂ, ରାମ ଶେଇତ୍ଯମ ମିଳିଲା
ଶୁଦ୍ଧିଲିଲିଲା ଗାତ୍ରିଶିଳା, ଅଲାପ୍ୟରା ଶେଖିଲା ଏବଂ ତଥା:

— ଏହା, ଉତ୍ତାଲା, ଶେବେ ଉତ୍ତାଲା ଫୁଲାବୀ କାରିଗାଦ ଗାଗିରିଗେହିବା: କାହାଲି ରାମ ଅମିତ୍ୟ
ଫିଲିଲି ନାମନ୍ତରି ପଦମଳା, ତାଙ୍କୁ ସର୍ବାଲାଦ ଗାମିକ୍ଷେପିଲେବୁଦାର!

ପ୍ରଥମ ଏବଂ ଦ୍ୱାଦ୍ସିତିମ୍ବିଂଦୀ ମିଳିଲିଲା

ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା

ଅନ୍ତରିକ୍ଷର ଅନ୍ତରିକ୍ଷ ମିଳିଲିଲା

ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା

ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା
ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା
ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା
ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା

ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା

ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା ଏବଂ ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା
ଏବଂ ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା ଏବଂ ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା
ଏବଂ ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା ଏବଂ ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା

ପାଦଶରୀର କାହିଁ ମିଳିଲିଲା
— ମିଳିଲିଲା ଏବଂ ମିଳିଲିଲା

ჩართვლის დედას

(ნაწყვეტი)

აღზარდე შეილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.

დედავ, ისმინე ქართვლის ველრება,
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ უძღვდეს ჰეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული.

* * *

ღმერთო, მოპმადლე მაღლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნას თავის ერისა
მომე ერთგული და მოყვარული.

କ୍ଷେତ୍ର ପାଠୀଙ୍କାଳି

ପ୍ରାଣଟାଙ୍କେ

(ნაწყვეტი)

ნუ დაიგინწყებ, რომ სიმართლისთვის
ჯვარცმული იქმნა თვით მაცხოვარი
და უგნურებამ ბოროტ გაკიცეხვით
ლერწმით შეასვა მას ნალეღელ-ძმარი.
ჰეშმარიტება ხშირად მსხვერპლსა გთხოვს...
სიმართლე ქვეყნად თუმცა მნელია,
მაგრამ მაინც კი ყველა გვირგვინზე
ეყლის გვირგვინი სანატრელია.

၃၀၂၄

(ნაწყვეტი)

დიდება ქვეყნის შემოქმედს,
დიდება მისსა მცნებასა,
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა!

606030821

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე
ღვთისაგან დანათესია,
მაგრამ იმათში ყველაზე
შექური უკეთესია:
ბევრია ჩვენში ღღეს ნინო
პირთამზე, მწეთუნახავი.

მაგრამ იმ ნინოს მსგავსის კი
არავისი ვართ მნახავი.
ის სულ სხვა იყო!.. სულითაც
იგივე მშვენიერება,
მკურნალი ივერიისა,
საერო ბედნიერება.
მას არ ჰქონია საუნჯე
დაუდებელი ფასისა,
სიმდიდრედ ხელში ეჭირა
უბრალო ჯვარი ვაზისა,
მისის ცრემლებით ნაბანი,
შეკრული იმისივე თმით,
სურვილით გამაგრებული,
განმტკიცებული გულისთქმით.
და ის მოგვიძლვნა ქართველებს
საშვილიშვილო სიმდიდრედ,
ჩვენც სჯული და ეროვნება
ორივე მაზედ ვამკვიდრეთ.

თორმეთი ერისთავი

(ნაწყვეტი)

ზეცა დაჟურუებს ქვეყანას
თვალითა ღმობიერითა,
გამოცდის, გამოაბრძედებს
ჭირითა მრავალფერითა.
და ამისათვის არ გვმართებს
წარკვეთა სასოებისა,
კუბოს კარამდე მძებნელი

କୁର୍ରି ଉନ୍ଦା ପିଲାରିଆ ଶ୍ଵେତିଶା,
ଗୁଣଗାତ୍ରେଖିଲି ଫୋର୍ମେଲି
ମେଳାଲାତ୍ରେଆ ତାଙ୍କିଶା,
ପାରମ୍ପରୀଯେଲି କ୍ଷେତ୍ରିଶା
ମିଳିବେ ସାହେଶିଶା.

ჩემი ვეღრება

(ნაწყვეტი)

ღმერთო, მიიღე ვეღრება,
 ეს ჩემი სათხოვარია:
 არ დამეკარგოს გულიდან
 მე შენი სახსოვარია!
 გულს წუ გამიტეს ტანჯვაში,
 მამყოფე შეუდრეკლადა,
 ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
 დაჩაგრულების მცელადა!
 მფარავდეს შენი მარჯვენა,
 კალთა სამოსლის შენისა,
 სანამ არ მოვა დრო-უამი
 სულ ბოლოს ამოქშენისა!

ჭმილა ნიორ

(ნაწყვეტი)

ვინც ქრისტეს მცნება გვასწავლა,
 ქართველთ გვწამს მისი ზნეობა,
 იყურთხოს მისი სახელი,
 იყურთხოს ნინოს მშნეობა!
 ცამ მოანიჭოს ჩვენს ქალებს
 სიღიდე ნინოს სულისა,
 რომ შესძლონ ქვეყნის აღდგენა,
 განკურნვა იმის წყლულისა,



ომლისა მოვლა, გამდლობა,
მოხედვა დაკარგულისა.
არ დაეკარგოს ამაგი,
კინაც სამშობლოს უვლისა,
იქურთხოს დედათა ღვაწლი,
მაღლი სწყალობდეს უფლისა!

გალაპტონ ტაბიეთი

შეტი

გააპე ბნელი, ნაცვლად ნათელი
 გადმოაფინე დაჩაგრულ მხარეს,
 რომ ნათლით შენით, გვირგვინით მშენით
 ანუგეშებდე ტანჯულ-მწუხარეს,
 რომ ჩვენი ბედის დიდი იმედის
 დიდება ჩანდეს შარავანდედად,
 გააპე ბნელი, ნაცვლად ნათელი
 მოგვფინე, შუქო, სახსნელ იმედად!

მოკლე ლოცვები

უფალო, შეგვიწყალე! მოგვმადლე, უფალო! გვაკურთხე, უფალო!
 ღმერთო, მიღხინე მე ცოდვილსა! უფალო, მოწყალე მეფავ მე ცოდვილს
 წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალე ჩვენ!
 იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერიდან და უკუნისამდე, ამინ!
 წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩვენო, ღვთისმმობლისა მავ
 შეგვიწყალე ჩვენ!

სარჩევი



წინათქმა	3
სამყარო ღმერთმა შექმნა	4
ღმერთი – ყოვლადძლიერი, ყოვლისმცოდნე, კეთილი	9
იესო ქრისტე	14
ქრისტიანები	19
წმინდა ნინო	23
კუვარი. პირკუვარის გამოსახვა	27
ლოცვა	31
საკითხები	
სანდროს ლოცვა („დედაენიდან“)	36
ილოცვე, ბავშვო („დედაენიდან“)	36
ველრება შვილებზე („დედაენიდან“)	36
უმთავრესი სათნოება („დედაენიდან“)	37
გულეკეთილობა („დედაენიდან“)	37
ღვთის ქმნილების მკილავი მთიელი („დედაენიდან“)	37
0201 ჭავჭავაძე	
ქართვლის დედას (ნაწყვეტი)	39
„ღმერთო, მოპმადლე...“	39
აპატი ფიროთელი	
გურთხევა (ნაწყვეტი)	40



შობა (ნაწყვეტი)	40
ნინობას	40
თორნიკე ერისთავი (ნაწყვეტი)	41
 ვაშა-ზშაველა	
ჩემი ველრება (ნაწყვეტი)	43
წმინდა ნინო (ნაწყვეტი)	43
 გალაპტიონ ტაბიე	
შექმი	45
მოქლე ლოცვები	46

გარემონს პირველ გვერდზე: სვეტიცხოველი და მცხეთის ჯვარი.

გარემონს პირველ გვერდზე: ხახულის კარელის ჯვარი მეათე-მე-
თორმეტე საუკუნეებისა.

სტამბა შ.კ.ს. „საქართველოს მაცნე“
რობაქიძის გამზ. 7°

